


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 27 ივლისი 4 1899 წ. № 27

შინაარსი: ჩვენი მწერლობის წვრილმანები ნ. ელიავასი — სხვა და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენციები. — საზღვარ გარეთ — რწმენა ლექსი ა — რე ხაბულიანისა. — ევროპის ძველი და ახალი მეურნეობა ფ. პატრიშვილისა — მცირე წლოვან დამნაშავეთა თავშესაფარი ზემო ავჭალაში — რისა — საქველმოქმედო საქმე — და კვალის ფოსტა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

28 ივნისს, დილის 9 საათზე და 25 წუთზე, აბასთუმანს გარდაიცვალა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

განსვენებული დიდი მთავარი დაიბადა 1871 წლის 27 აპრილს და ტახტის მემკვიდრეთ გამოცხადდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სამეფო ტახტზე ასვლის დღეს. იმოგზაურა აღმოსავლეთში, მოიარა საბერძნეთი, ეგვიპტე, სამხრეთი და ჩრდილოეთი ინდოეთი და მას შემდეგ, შვიდს წელიწადზე მეტია, ავათმყოფობისა გამო ცხოვრობდა კავკასიაში, აბასთუმანს. მის სასახლეში აბასთუმანს, დაცულია ძვირფასი წიგნთ-საცავი კავკასიის წარსულისა და აწინდელ მდგომარეობის შესახებ. დიდ მთავრის შუამდგომლობით, სხვათა შორის, დიდძალი ფული იქმნა გადადებული კავკასიის მუზეის ასაწერათ და დასურათებულ კატალოღის გამოსაცემათ. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის მფარველობისა გამო მრავალი ძვირფასი შრომა დაიბეჭდა კავკასიისა, მისი ბუნების მეტყველებისა და და ეტნოგრაფიის შესახებ.

მიზეზი მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალებისა ის ყოფილა, რომ ყელიდან უცბათ სისხლი ჩამოსქდომია. ტახტის მემკვიდრეთ დაინიშნა მისი უმცროსი ძმა, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

№ VI „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს.

## ჩვენი მწერლობის წვრილმანები.

ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობა ბევრ რასმეს ასვამს დაღს, ბევრ ახირებულებას წარმოგვიდგენს თვალ წინ, და ასეთი ახირებულება პრესსაში, პუბლიცისტიკაშიც იჩენს ხოლმე თავს. აი სწორეთ ასეთ ახირებულ ნიმუშებს გვინდა მივაქციოთ დღეს მკითხველის ყურადღება. ხშირათ ისეთ აზრებს გვაჩეჩებენ, რომ გიკვირს და ვერ აკისხნია საიდან შემოუტანიათ იგი. თუ არ ახირებული აბა რა ვუწოდოთ ისეთ აზრებს, ვითომ ჩვენი საზოგადოების ნაწილ-ნაწილათ, პარტიებათ დაყოფა ბანკის მიზეზი იყოს, თავად-აზნაურობის ხელიდან მიწების დაკარგვაც იმავე ბანკის წყალობა? ნამეტანი სწავლა მავნებელია, სკოლების ასეთი თუ ისეთი მოწყობა (ტიპი) არის მიზეზი პროლეტარიატის მოვლინებისო, ჩვენებური სახალხო სკოლები ჩარჩ-ბაცაცებს ზრდიანო და სხვ.

აი ასეთ აზრებს ხვდება მკითხველი ჩვენ მწერლობაში და გვგონია ცუდათ არ უნდა ჩაგვეთვალოს მათი გადახედვა, გადაშინჯვა, ვინც უნდა იყოს მათი გამომთქმელი და საცა უნდა იყოს დაბეჭდილი. პირ-

ველ წერილში „საბანკო ფილოსოფიაზე“ შევჩერდეთ, რადგან ეს კითხვა დღეს საჭირბოროტოთ გადაქცეული. ავიღოთ „აკაკის კრებულის“ № III. ამ წიგნში დასტამბულია რედაქტორის წერილი სათაურით ,,დღევანდელი ჩვენი საჭიროება‘‘. ყოველი ქართველი დიდი ყურადღებით მოისმენს, რა მიაჩნია ჩვენ მცხოვან საყვარელ მგოსანს დღევანდელ საჭიროებათ. წერილის ბოლოდან ვტყობილობთ, რომ დღევანდელი საჭიროება ქალების აღზრდა ყოფილა. ჩვენი დედები უცხო ნიადაგზე იზრდებიან, ღირსეულ დედობას ვერ უწევენ შვილებს და ამიტომ შვილებიც ადვილათ ადგებიინ გადაგვარების გზასო კარგი და პატიოსანი! სწორეთ საჭიროა ქალების აღზრდა და ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით (შეიძლება კი არ დავეთანხმოთ ავტორს წარსულის იდეალათ წარმოდგენაში, მარა ამაზე სხვა დროს).

სანამ ამ აზრამდის მიგვიყვანდა ბ. აკაკი გზა და გზა თითქმის მთელ ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას შეეხო და შეეცადა მისი ავკარგიანობის მიზეზებიც აეხსნა და ამან მიიქცია ჩვენი ყურადღება. დღევანდელ საჭიროებაზე მასლაათის მიზეზი მიუცია ბ. აკაკისთვის ქუთაისის ბანკს და იქიდან გამოსატანი ფულის მოხმარებას. ის დაბეჯითებით გვეუბნება, რომ ბანკი მხოლოთ წახედულობით დაარსებულა ჩვენში, იგი სრულიად არ ყოფილა საჭირო, ამიტომაც ვერ ისარგებლა თავად-აზნაურობამ მით, როგორც საჭირო იყო, მით უმეტეს ,,სახაფანგო წესდება‘‘ ჰქონდაო და აი ამან გაანადგურა ჩვენი თავად-აზნაურობაო. ეს კიდევ არ აკმარა საბრალო ბანკს; ამავე ბანკის ბრალია თურმე ჩვენი სტუდენტობის და ნასტუდენტრების გათახსირება, ინტელიგენციაში შურისა და მტრობის ჩამოგდება და სხვ. და სხვ.

,,ამ ოც და ერთი წლის წინათ ჩვენში ინტელიგენციას, ანუ როგორც მაშინ უწოდებდენ, სტუდენტებს დიდი სახელი და ძალა ჰქონდათ. იმათი მაშინდელი მოღვაწეობა დღესაც სამაგალითოთ მიაჩნიათ და აქამომდე ნაყოფიერათ თვლიან. ამ სახიფათო ბანკმა ქონებრივ სიგლახაკეს გარდა... შეგვატოპია ზნეობრივ სიგლახაკეში და ნელ-ნელა გვითრევს‘‘... ,,ეს ის ზღაპრული გველეშაპია, რომელიც საყდარს შემოეგვერგვებოდა და შიგ აღარავის უშვებდა ხოლმე!‘‘

როგორც ხედავთ ყველა ამ უბედურებათა მიზეზი ბანკია, და მერე ვინ დააარსა იგი ჩვენში, ვინ დაღუპა ერი? ვინ და ჩვენმა ძველმა, დღეს მობერებულმა, ინტელიგენციამ, სწორეთ იმ ნასტუდენტრებმა, რომელთა თანხმობითი მოქმედება დღესაც იტაცებს პოეტ-პუბლიცისტს, სწორეთ იმ თაობამ, რომლის თაყვანის ცემასაც თხოულობს დღეს ჩვენგან ბ. აკაკი. რა გინდ ბევრი რამ ჰქონდეს გაკეთებული ამ თაობას სხვა სფერაში, თუ ბ. აკაკის მსჯელობას მივიღებთ, მარტო ამ ბანკის დაარსებისთვის არის იგი დასაგმობი. ამისთანა უბედურება დაგვმართეს, და კიდევ თაყვანი ვცეთ?! ვერ არის მგონი ლოღიკური დასკვნა...

ჩვენ არ გვგონია ბანკი იმდენი ძალის მქონი იყოს, რამდენსაც მას აწერენ. როცა თავად აზნაურობას მუქთი მუშა ხელი ჩამოართვეს, როცა ნატურალური მეურნეობა შეირყა, ბანკი აუცილებელი საჭიროება შეიქნა ამ რაინდი წოდებისათვის, რომელსაც ცხოვრება უნდოდა და მასალა კი არა ჰქონდა. მას ჰქონდა მიწა-მამული და სწორეთ ამას მიაწვა; ამ დროს მიწამაც აიწია ფასში და რა გასკვირველია, თუ შრომას მიუჩვეველმა წოდებამ მამულის დახურდავებას მიჰყო ხელი. ჩვენ გვგონია, თავად აზნაურობა უბანკოთაც მოახერხებდა მამულის გაფლანგვას და თუ რამე ბრალი აქვს აქ ბანკს, მხოლოთ ის რომ მან ეს პროცესსი ცოტათი დააჩქარა. რამდენმა მემამულემ მოახერხა უბანკოთ მამულის გაბნევა, ამის მაგალითი ჩვენც ბევრი ვიცით და ბ. აკაკიმაც. ერთი ჩვენი პოეტის ბიოგრაფი, დიდ ღვაწლათ უთვლის ამ პოეტს, რომ მან თავისი მიწები ნაჭერ-ნაჭერათ მიჰყიდა გლეხებს; ამას ჩადიოდენ არა მარტო პოეტები! მიწების ხელიდან ხელში გადასვლა ბანკის გარეთაც ხდება, ამის მიზეზი ბანკი კი არა, მიწის საქონლათ გარდაქცევა, მიწათ მფლობელი წოდების უკან ჩამორჩენაა. ამიტომ არც ძველ თაობას ვუკიჟინებთ ბანკის დაარსებას. ბანკის დაარსება ჩვენში ისეთივე წამხედურობა იყო, როგორი წამხედურობითაც ვითარდება მთელი ჩვენი ცხოვრება, და ეს ,,წამხედურობა‘‘ კი აუცილებლობის შედეგია. თუ ბანკი საზიანო შეიქნა რაინდი წოდებისათვის, მაგიერში მან ხელი შეუწყო ახალი კლასის აღორძინებას და ეს არის მისი აქტივი. თუ მარტო თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველის თვალით შევხედავთ ბანკს, მაშინ მან მეტი ზარალი მოიტანა, მაგრამ ჩვენ უარ ვყოფთ ასეთ თვალთახედვის ისარს.

სახაფანგო წესდებაზე მსჯელობაც, უნდა გამოვტყდეთ, სრულიად გაუგებარია ჩვენთვის. ფულს გაძლევს ბანკი სესხათ და დროზე პროცენტის შემოტანას თხოულობს — რა არის აქ სახაფანგო? თუ ხაფანგია ისევ თავად-აზნაურობის მდგომარეობაა აქ ხაფანგი. ძველი ფეოდალი, ოღონდ ფული კი ჩაიგდოს ხელში და გადახდას როდილა ფიქრობს, ან კი საიდან შეძლებს, როცა ეს ფული მამულს გარეთ დაიხარჯა; ჩვენ თავად-აზნაურობას ხაფანგი ხომ ისტორიის მსვლელობამ დაუგო, რომლისთვისაც ეს წოდება (დღეს) საჭირო აღარ არის და ისვრის იქითკენ საიდა-

ნაც ამოსვლა ძნელია. თავად-აზნაურობისაგან მიწების სხვა წოდებათა ხელში გადასვლა ჩვენი დროის აუცილებელ ტენდენციათ გამხდარა. სამწუხაროთ ეს კითხვა ჩვენში გამოურკვეველია, და ციფრებით ვერ დავასაბუთებთ. ხოლო აშკარაა ის, რომ სხვა წოდებაი მიწების სივრცე მატულობს, თავად-აზნაურთა კი კლებულობს. ამას ყველა ზერელე მკვლევარიც ამჩნევს. განსამარტებლათ მოვიყვანთ ციფრებს რუსეთის შესახებ და გვგონია, ამ შემთხვევაში ჩვენი და რუსეთის აზნაურობა ერთ გზას ადგია.

რუსეთის 45 გუბერნიაში თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა:

1859 წ.—79.103 ათასი დესეტინა [1])
1896—55.544 — — —

36 წლის განმავლობაში თითქმის მესამედი ($30_0/^0$) სხვა წოდებათა ხელში გადასულა. ამასთან შესანიშნავია, რომ სიჩქარე, რომლითაც მამული გაურბის ხელიდან ამ წოდებას თანდათან მატულობს.

1859 წლიდან 77 ძდე თავ.-აზ. დაკარგვია $12_0/^0$ (9.401 ათ. დ.) ე. ი. წელიწადში $0{,}7_0/^0$.
1877—91 წ. $16_0/^0$, წელიწადში $1{,}1_0/^0$.
91—95 წ. — $5{,}3\,^0/_0$ — $1{,}3_0/^0$.

გვგონია ასეთია ჩვენი მემამულეთა ბედიც, მხოლოთ საჭიროა ამ კითხვის გამოკვლევა.

რუსეთის თავად აზნაურობა დღემდის სახელმწიფო ბანკით მაინც იყო ჩვენზე წინ, რომელიც უფრო ფილანტროპიულ დაწესებულებას წარმოადგენს, ვინემ კომერციულს თავისი მიზნით; ამისთანა ბანკი, მგონი, ერთათ ერთია დედამიწის ზურგზე, თითქმის მეტ პროცენტს იძლევა, ვიდრე მსესხებელთ ახდევინებს, გულუხვა „ნედოიმკების" შეწევნაზე და საშინელი სიმძიმით აწევება სახელმწიფო ბიუჯეტს ე. ი. მეხარკე წოდებას, მარა ამანაც ვერ იხსნა რაინდი წოდება...

უფრო საკვირველია, როცა ბანკს აბრალებენ საზოგადოების დათიშვას, დიფერენციაციას, რომელმაც ინტელიგენციაშიც იჩინა თავი. ასეთი ორიგინალური თეორიის წინააღმდეგ სერიოზული დავა შეუძლებელია. კაცობრიობის განვითარების ქვა კუთხედათ ბანკის გამოცხადება მაინც ერთობ ორიგინალურია, ბანკს მარტო ჩვენში მიაგნეს! აი ბ. აკაკის სიტყვები: „დიახ სწორეთ ბანკმა ჩამოაგდო ჩვენში მტრობა, დაარღვია ის ერთობა და კავშირი, რომელზედაც ზემოთ მოგახსენებდით და აგვიმღვრია ცხოვრება."

არ ვიცით, შეიძლება მართალიც იყოს ავტორი, მარა საჭიროა ცოტათი მაინც დაასაბუთოს თავისი აზრი; მანამდე კი ჩვენ ამ დიფერენტაციას სასიამოვნო მოვლენათ მივიჩნევთ; იგი არის შედეგი და მაჩვენებელი საზოგადოების განვითარებისა, და ნატურალურ ინტელიგენციაზე ტირილი ნატურალური წარმოების მოტრფიალეთათვის დაგვითმია! ჩვენ სიამოვნებით შევყურებთ ასეთ „დათიშვას", დასდასათ დაყოფას, ეს არის თავდები საზოგადოების წინ მსვლელობისა, და ამიტომ ვერც ის გარემოება შეგვაწუხებს, თუ ახალგაზდები კრიტიკის თვალით უყურებენ ძველებს (ბ. აკაკი ამაზეც წუხს!). პირიქით, მხოლოთ ასეთი ახალგაზდობაა სასურველი და სანატრელი; ამას შეუძლია რისამე გაკეთება, და ამით იყო კარგი მე-60 წლების ახალგაზდებიც, რომლებიც ისე მედგრათ შეებრძოლენ მაშინდელ ძველ თაობას. სამწუხაროა, რომ დღეს სწორეთ, მაშინდელი ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენელები თხოულობენ თაყვანისცემას, ავტორიტეტის წინ დაჩოქებას, ცდილობენ მოჰკლან ახალი თავისუფალი აზრი. სამწუხაროა და არა საკვირველი: ისტორია მსვლელობაშია, მოძრაობაში; მამები და შვილები ყოველთვის დაცილებული არიან ერთმანეთს; პირველთ, რაკი თვით ვერ აუყოლებიათ ფეხი ცხოვრების განვითარებისათვის, უნდათ თვით ცხოვრება შეაჩერონ, და თუ ვერ აჩერებენ, მის განვითარებას მაინც ვერ ამჩნევენ, და სულ უკან—გვეზიდებიან. მეორენი კი უფრო თანამედროვეს და მომავალს მიჩერებიან და ამასთან თუ საქმესაც აკეთებენ—მამების ძველი ღვაწლის საქებრათ აღარ ცალიათ, ნამეტურ როცა თანამედროვე პირობებში შებრძოლებაც კი ჰრდებათ. არ ვიცით რომელი ახალგაზდობა მიაჩნია ბ. აკაკის ძველების დამგმობათ, თითონ პირდაპირ არ ასახელებს; ამიტომ მხოლოთ აპრიორულათ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ „კვალის" ჯგუფი ჰყავდეს სახეში, „ივერიისა" და „მოამბის" ახალგაზდები აჭარბებენ კიდეც ძველების თაყვანის ცემაში. თუ ასეა, საჭიროა დაგვისახელოს რომელი ძველი „ნასტუდენტარი" შეურაცხჰყო ამ ახალგაზდობამ უღირსათ, დაუმსახურებლათ.

ჩემი აზრით „კვალისტების" კრიტიკაზე და „შეურაცხყოფაზე" (თუ კი იყო ასეთი!) უფრო შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია ის ფაქტი, როცა აკაკის და ილიას დამცველობას იღებს თავზე ვარისა და ჩიორასთანა ავლაბარში გაზრდილი მწერლები. ნუ თუ, ასეთი ლაქუცა ახალგაზდები თვით თქვენ არ გვკრიან ზიზღის?! ნუ თუ „ვარისთანა" ალვირ წახსნილი მწერლებია მომავალში თქვენი მემკვიდრეები?

შეიძლება ვცდებოდე, მარა როცა ვარისა და ძმათა მისთა წერილებს ვკითხულობ, ყოველთვის მაგონდება ის ფლიდი, უგულო და მატყუარა ნათე-

[1]) ნადელები გამოკვლეულია. Р. В. № 23, 98 წ.

საები, რომლებიც სულით მობრძავ მდიდარ მამიდას თუ ბიძიას ლოგინს გარს შემორტყმიან და ერთი მეორეს უსწრებენ, დაარწმუნონ მომაკვდავი თავის გრძნობებში—იქნება რამე გამოვტყუოვო. მართალია, ჩვენი ახალგაზდობის ერთი ჯგუფი დაურიდებელია კრიტიკაში, მარა სხვის კალთის ქვეშ მცხოვრებ ახალგაზდებზე ძველი ღვაწლის დაფასებაც უფრო იციან... სწორეთ მართალია ბ. აკაკი, როცა ბრძანებს: „შეიძლება კაცი დიდი ჭკუაგონების პატრონი იყოს, მაღალი ნიჭიერიც, რომელიმე საზენაო საქმეში დაგვირგვინებულ-სხივოსანი, მაგრამ ცხოვრებაში გამოსაყენებელი საწვრილმანო კანონების კი უვიცი და უმეცარი"..

ნ, ქლიავა.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქ. ფოთში განუზრახავთ დაარსონ საკომერციო კურსები. დამაარსებელნი არიან საურთიერთო ნდობის ბანკის ბუხჰალტერი ს. გიგინეიშვილი და ქალაქის გამგეობის ბუჰალტერის თანაშემწე დ. ღულაძე. კურსები განიყოფებიან ორ ნაწილათ: თეორეტიული და პრაქტიკული. პირველი შეიცავს: საკომერციო არითმეტიკას, ბუხჰალტერიას, საკომერციო ეკონომიას, სავაჭრო კანონმდებლობას, საკომერციო მიწერ-მოწერას და ლამაზათ წერას. ხოლო მეორე შეიცავს პრაქტიკულათ საქმის წარმოების შესწავლას, რისთვისაც იქნება დაარსებული სავაჭრო კანტორა, ფიქტიური ოპერაციებით. თეორეტიული კურსის დასრულება შეიძლება ერთ წელიწადს. სწავლის ფულია ათი თუმანი მთელი კურსისათვის, კურსები გაიხსნება პირველ სექტემბერს და მიიღებიან მოწაფენი ორივე სქესისა, რომელთაც ოთხი კლასის მოწმობა ექნებათ ან და შესაფერ ეგზამენს დაიჭერენ. კურსების გახსნის ნების დასართავათ თხოვნა გაგზავნილია სადაც ჯერ არს.

—

წ. კ. საზ. გამგეობის ორგანო „ივერია" აცხადებს, რომ სენაკის სკოლის მასწავლებლები დათხოვნილ იქნენ და არა გადაყვანილი იმიტომ, რომ გამგეობას თავისუფალი ადგილი არ ჰქონდაო. მაშ, თუ სადმე გამოჩნდება ასეთი ადგილი უეჭველია მათ მისცემენ. ენახოთ.

—

იმავე საზოგადოების მდივანმა ბ. დ. კარიჭაშვილმა თავი დაანება ამ თანამდებობას და მის ალაგას გასულ კვირაში გამგეობამ აირჩია ბ. ალ. მიქაბერიძე. მიქაბერიძემ სწავლა დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე და უკანასკნელათ ქ. განჯაში მსახურებდა.

—

სოხუმის ქალაქის თავათ 26 ხმით წინააღმდეგ სამი ხმისა არჩეულ იქმნა ალ. სარაჯიშვილი, ხოლო მის თანაშემწეთ ადგილობრივი მკურნალი კოზმინი.

—

ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაციას უჩივლია, რომ 300-მდე მოსახლე გლეხი ჩაირიცხა ქ. ოზურგეთის მოქალაქეთ და სოფლის ბეგარისაგან და გადასახადებისაგან განთავისუფლდენ, ხოლო რადგანაც ქალაქში უძრავი ქონება არა აქვთ, აღარც აქ იხდიან რასმესო. ქუთაისის საგუბერნიო გამგეობამ ყურად იყო ეს გარემოება და დაადგინა: ის გლეხები, რომელნიც ოზურგეთის მოქალაქეებათ ჩაირიცხენ, ხოლო ადგილ-მამული სოფელში აქვთ, ისევ სოფლელებათ ჩაირიცხონო. ჩვენ გვგონია, აქ ერთი გარემოება არ არის მოხსენებული და საჭიროა მასზე საგუბერნიო გამგეობის ყურადღების მიქცევა, სახელდობრ, ქალაქში ჩაწერილი გლეხნი ქალაქის სასარგებლოთ ყოველ წლივ იხდიან გადასახადს, მიუხედავათ იმისა მათ ქალაქში ქონება აქვთ თუ არა. ამასთანავე, საჭიროა ოზურგეთის თვით-მართველობამ ამას ყურადღება მიაქციოს და ქალაქის და მოქალაქეთა ინტერესები დაიცვას, თვარა რამდენ მოქალაქეს სოფელში აქვს მამული და თუ ყველა ის სოფლელათ ჩაირიცხა, ქალაქები მშრალზე დარჩებიან.

—

როგორც „Сын. От.".-ს შეუტყვია, მთავრობას საბოლოოთ გადაუწყვეტია დაასახლოს ართვინისა და ბათომის ოლქებში რუსის გლეხები. ამ ჟამათ ცნობაში მოჰყავსთ დასასახლებლათ გამოსადეგი ადგილები.

—

უცხო-ქვეყნელ კაპიტალისტთა კომისიას მოლაპარაკება აქვს გამართული თელავის მაზრაში ერთი დიდი მამულის საყიდათ, რომელიც შედგება სახნავ-სათეს ადგილებისა, ვენახებისა და ტყეებისაგან.

—

ბაქოელი ვაჭრები აარსებენ საზოგადოებას „გ. გ. არაფელოვი და ამხ." ბაქოს გუბერნიაში ნავთის საწარმოებლათ. საზოგადოების ძირის თანხა უდრის ერთ მილიონ მანეთს, რომელიც განაწილებულია ორი ათას აქციათ.

—

ქუთათური ვაჭრები სეითი და ი. გასფელდი პოროუჩ. რაფაელოვიჩი, საპატ. მოქ. ლ. ი. პერელმანი

და ოდესელი ვაჭარი ს. დ. გალპერნი აარსებენ საზოგადოებას სახელწოდებით: „ფოთი ქიათურის შავი ქვის და ლითონის მწარმოებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოებას საგნათ ექნება შორაპნის მაზრის შავი ქვის მადნების დამუშავება, აგრეთვე სამეტალურგიო და სამთო ქარხნების გამართვა და სამთო საქარხნო მრეწველობის ნაწარმოებით ვაჭრობა რუსეთსა და საზღვარ გარეთ. საზოგადოების ძირის თანხა უდრის 3,000,000 მან., რომელიც დანაწილებულია 12,000 პაიებათ.

—

რუსეთ-ბელგიის საზოგადოებას, რომელიც ქვანახშირის მადნებს აწარმოებს ტყიბულში, მოლაპარაკება გაუმართავს საფრანგეთის კაპიტალისტებთან იმ აზრით, რომ მოიპოვონ საწარმოვო თანხა ქვანახშირის წარმოებისა და ბრიკეტის ქარხნის გასაახლებლათ.

—

კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მიერ შეკრებილ ცნობებიდან ჩანს, რომ რუსეთიდან კავკასიაში ჩამოსულ მუშათა რიცხვი უდრის 11,589-ს.

—

1898 წლის განმავლობაში თფილისში ცეცხლი წაჰკიდებია 71 სახლს, რომელთაგან დამწვარა 11 სახლი. ზარალი უდრის დაახლოვებით 78,290 მან. ცეცხლის წაკიდების მიზეზები ყოფილა: 40 შემთხვევაში მილების მოუწყობლობა, 24 შემთხვევაში ცეცხლის გაუფრთხილებლათ ხმარება, 1 შემთხვევაში—განზრახ ცეცხლის მოკიდება და 6 შემთხვევაში სხვა და სხვა გამოურკვეველი მიზეზი.

—

იმავე წლის განმავლობაში თფილისში ჩაუდენიათ 1611 დანაშაული, რომელთა გამო სამოსამართლო დაწესებულებას სხვა და სხვა გვარი სასჯელი გადაუწყვეტია 807 მამაკაცისა და 33 დედაკაცისათვის. ქურდობა მომხდარა 572, გაცარცვა—29, მოტყუება—16, მკვლელობის განზრახვა—2, ყაჩაღობა—1, დაჭრა—58, მკვლელობა—18 და სხ.

—

შინაგან საქმეთა, საერო განათლების და იუსტიციის მინისტთა და უწ. სენოდის ობერ პროკურორის დადგენილებით სრულიად აიკრძალა ჟურნალ Начало-ს გამოცემა, რომელიც იბეჭდებოდა პეტერბურგში.

—

ჩვენ მივიღეთ: 1) „მესხური ანდაზები და გამოცანები“ სამესხეთოში შეგროვილი და გამოცემული მესხის კონსტანტინე გვარამაძის მიერ. წიგნაკში მოთავსებულია 600-მდე ანდაზა, შეიცავს 42 გვერდს და ღირს ორ შაურათ. კარგი იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეაგროვებდენ ანდაზებს და დაბეჭდავდენ. 2) „ლექსები და ნაწყვეტები“, შეკრებილი და გამოცემული ი. დატუნაშვილის მიერ. წიგნაკში მოთავსებულია ერთი ლექსი ი. ჭავჭავაძისა, დანარჩენი კი ახალი პოეტებისა—ევდოშვილის, მაჩხანელის, დუტუ-მეგრელის, გ. გოგოლაძის, ფშანლის და სხ. შეიცავს 23 გვერდს და ღირს ერთ შაურათ. ორივე ეს წიგნაკი დაბეჭდილია დ. ახალსენაკში, გ. თავართქილაძის სტამბაში.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

Бათომი. ის იყო იმედი დაკარგული გვქონდა, ბათომში სამკითხველოს დაარსების შესახებ; რადგან მას შემდეგ, რაც ფულების გროვება იწყეს სამკითხველოს დასაარსებლათ ხუთი წელიწადი გავიდა და ნამოქმედარი კი არაფერი ჩანდა. მერე გავიგეთ, სამკითხველოს ნებართვა მოუვიდათ, წესდება დაუმტკიცებიათო. ამ ამბავმა ისევ იმედი მოგვცა, მხოლოთ ჯერ კი მარტო იმედი და მეტი არაფერი. ამდენი ლოდინით ილაჯ გაწყვეტილმა ახალ-გაზდობამ (ნოქრებმა), რომელნიც კარგა ბლომათაა ბათომში, გადაწყვიტეს ცალკე სამკითხველოს დაარსება, და შეუდგენ კიდევაც საქმეს. პირველათ მოილაპარაკეს ნივთიერ მხარეზე; თუ რანაირ წყაროთი შეუძლიანთ საქმის სისრულეში მოყვანა, მერე ნებართვაზე და ბოლოს თუ რა დაარქვან სახელათ. წიგნთ-საცავი, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, თუ რა. არჩიეს, არჩიეს და როგორც იყო, მონათლეს „კომერციული ბიბლიოთეკი“-ს სახელით. ამ საგანზე „Черн. Вестн.“ უძღვნა ორი წერილი და თავისი სიმპატიაც გამოუცხადა. მართლაც და, ასეთი სიმპატიური საქმე, როგორც „წიგნთ-საცავ“ „ბიბლიოთეკის“ დაარსებაა, დიახაც თანაგრძნობა—დახმარების გასაწევია. ისიც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბათომელი ნოქრები, (მალაზიის, რასაკვირველია) კვირაობით თავისუფალი იქნებიან ახლო მომავალში, და მათთვის „სამკითხველო“ ხომ ციური მანანა იქნება. ერთი ლუარსაბი დღესაც ამტკიცებს, რომ „ჩემი ნოქრები უარს იტყვიან თავისუფლებაზე, ან ეს რა მათი საქმეა, აბა რაში უნდა გამოიყენონ ეს დროვო“, მარა ამ პატივცემულ არსებას, არც იქ, თვითმართველობაში შეუსმინეს ჩივილი, (როცა კითხვა იყო წამოყენეაული, გავათავისუფლოთ ნოქრები კვირაობით მუშაობისაგან თუ არაო?) და ახლა ხომ გულზე ხეთქს ნოქრების ჯავრი, როცა უკანასკნელი ისე ენერგიულათ ჰკიდებენ ბიბლიოთეკის დაარსების

საქმეს ხელს. ასე და ამნაირათ ადამის დროინდელ დაწყებულ საქმეს, მგონი გუშინდელი დაწყებული გაასწრებს, და იმედია ნოქრებიც მეტი შეერთებული ძალით, მეტ დროს მოანდომებენ ამ საქმეს და გახდებიან სხვის წასაბაძავ მაგალითათ.

მარა ერთი საკითხავია გადასაწყვეტი: შეერთდენ ძველი და ახალი მეთაურები და ერთი სახალხო სამკითხველო დაარსონ, თუ ასე ცალ-ცალკე იშრომონ?

ჩემი აზრით კი საჭიროა შეერთება და შეერთებული ძალით მოქმედება; თუ შეერთდებიან უეჭველია, საქმეს უფრო ადრე და კარგათაც მოაწყობენ, რადგან ნებართვა აღებულია და ცოტა ფულიცაა მოგროვილი. აგრეთვე თუმცა ნაადრევია, მარა შეიძლება ამოდენა ძალის პატრონმა სხვა რამეზედაც ვიოცნებოთ, მაგ. თუ შეძლება გვექნება შევიძლია სახალხო თეატრიც შევიძინოთ და სხვა.

ერთი სიტყვით სასურველია, რომ შეერთდენ და „სახალხო" წიგნთსაცავი დაარსონ, ვინემ „კომერციული ბიბლიოთეკა". სახელწოდება, რასაკვირველია არას დაუშლის, მხოლოთ დანიშნულება ჰქონდეს „სახალხო" და ხელ მისაწვდენი იყოს მუშა ხალხისათვისაც, რომელიც ძლიერ საჭიროებს ფიზიკურ ვარჯიშობასთან გონებრივსაც. ნუ დაგვავიწყდება ისიც რომ „კომერციული ბიბლიოთეკა" ჩვენში ახალი ხილია, და გადიდება-გადასხვაფერების სურვილმა, უკანასკნელი საფეხურიც არ დაგვაცლევინოს. იმედია, ნოქრები, რაკი ითავეს ეს საქმე, სასურველათ დაავგვირგვინებენ და არ დაივიწყებენ იმ მშრომელ ხალხსაც, რომელიც მიტოვებულია ყველა კუჭ-გაბატონებულთაგან.

ცოცხალი ნივთი

—

კახეთი. წელს დროზე ავდარმა და დროზე კაი დარმა კახეთში ხელი შეუწყო უხვ მოსავალს, თუ, რა საკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სასტიკ ბუნების მოვლენათ, როგორიც არიან სეტყვა და ნიაღვარი. სეტყვამ 11-ს მაისს და 10-ს ივნისს ჩარეგვა თელავის ახლო მდებარე სოფლების ზოგის თავი და ზოგის ბოლო, აგრეთვე მუკუზანი და ველისციხე, ხოლო ნიაღვარმა ამავე დროს კინაღამ მთლათ წაიღო სოფ. ყვარელი. 16 კომლის სახლკარი გაანადგურა და 6 სულიც იმსხვერპლა. ყველა ამ ზემოხსენებულ ბუნების მოვლენათაგან მართალია დიდ დანაკლისს გრძნობს აქაური სოფლის ხალხი, მაგრამ ეს დანაკლისი არ შეედრება იმ შესამჩნევ ზარალს, როგორიც არის ხოლმე ვაზის ავათ მყოფობა და მოუსავლელობა კახეთში. ღვთით ამ მხრით ჯერ საშიში არა არისრა. ეს ერთი თვე იქნება, რაც დაიწყო ეგრეთ წოდებული „პარკობა". მოესიენ ზაქათლელი ზოკები აქაურ სოფლებს და გაფაციცებითა ჰკრეფენ აბრეშუმის ჭიის პარკს. დღეში, საშუალო რიცხვით, 3000—4000 მანეთის პარკსა ყიდულობენ, მაგრამ, სამწუხაროთ, ღვინისა არ იყოს, პარკიც ბზის ფასათ იყიდება. შარშან სოფლებში ლიტრა პარკი ოთხაბაზიდან ექვს აბაზამდე იყიდებოდა ე. ი. ფუთი 4—5 მანეთამდის, მაშინ, როდესაც იმავე დროს ქ. თელავში ფუთი 15—16 მანეთათ იყიდებოდა. წელს კი უფრო იაფია (10—12 მან.) აი რით აიხსნება პარკის სიიაფე სოფლებში: მოგეხსენებათ აბრეშუმის ჭიის თესლს არიგებენ ზაქათალელი სომხები და ზოგნიც თელაველები, იმ პირობით, რომ მეოთხედი დამრიგებლისაა — დანარჩენი-კი მომყვანისა. მაგრამ ამ დანარჩენის გაყიდვაც სხვაზე, ან სხვაგან არ შეუძლია, თუ არა იმავე თესლის დამრიგებელზე, რადგან ეს უკანასკნელნი სიტყვას აძლევენ ერთმანეთს: ერთმა მეორის დარიგებული არ ვიყიდოთო. ამის გამო გლეხს ეშინიან არ დაუგვიანდეს პარკს, პეპელა არ გამოვიდეს და ამიტომ ნაკლებ ფასათ აძლევს თესლის მომტანს. რა თქმა უნდა ამ პირობებში მყოფ ხალხს სარგებლობას მოუტანდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, ფასებს მაინც ასწევდა და ჩარჩებს ჩალის ფასათ არ დარჩებოდათ პარკი და ამით ბევრს თავისი ლუკმა თავის ჯამშივე დარჩებოდა.

ტ. ი—ძე.

—

გურია. ამ უკანასკნელ ორ სამ წელიწადში გურულებმა დაამტკიცეს თავიანთი ყოჩაღობა აბრეშუმის კეთებით. აქამდის აბრეშუმის კეთება ქალებზე იყო მინდობილი, ახლა კაცებმაც გულითადი მონაწილეობა მიიღეს ამ სასარგებლო შრომაში. წელს ისეთ ოჯახს იშვიათათ შეხვდებოდით გურიაში, რომელსაც შვიდი მისხალი თესლი არ ეყიდოს, მხოლოთ ის, ვისაც ერთი ძირი ბჟოლა არ გააჩნდა, ჯერდებოდა სამ მისხალ თესლს. სანამ ჭიები მეოთხე კანს მოიცვლიდენ, მოვლა ძალიან ადვილი იყო; მაგრამ, როდესაც ჭიამ მეოთხე, ესე იგი დიდი კანი მოიცვალა, გასაძღომათ ბევრი საჭმელი დაჭირდა, აი სწორეთ ამ დროს გაუჭირდათ ჩვენ მეაბრაშუმეებს: ბჟოლა შემოაკლდათ და ვეღარც გასაყიდი იშოვნეს; ერთი ბჟოლის ფასი ამ დროს ერთი მანეთიდან რვა მანეთამდე გახდა. საყიდლათ რომ ვეღარ შოულობდენ ბჟოლას, იპარავდენ და ისე ჰკვებავდენ ჭიებს. ერთი ბჟოლის ქურდი დაიჭირეს და ჰკითხეს: რათ მოიპარე ბჟოლაო? იმან უპასუხა: „რა მექნა, ბატონო! ნათქვამი არის: „შიში მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ისე აწანწალდენ

შიმშილისაგან ის დალოცვილის გაჩენილი ჭიები, რომ იმათი შიმშილისაგან დახოცვას მოპარვა ვარჩიეო“. ისეთი ოჯახიც არის, რომ თითონაც ბევრი აკეთა აბრეშუმი და ხუთი ექვსი თუმნის ბჟოლაც გაჰყიდა. თუმცა ჩვენ მეაბრეშუმეებს დიდი შრომა გადახდათ, მაგრამ სამაგიეროთ ბევრიც გააკეთეს: ორ ფუთზე ნაკლები არავის აღარ მოსვლია და ხშირათ კი ათიდან თორმეტი ფუთი მოუვიდა თითო მეაბრეშუმეს. ამ ვაი და უბედურების გადამწყვეტ აბრეშუმის მუშა ხალხს ეგონა, რომ პარკი კარგ ფასში გაიყიდებაო. მაგრამ მოტყუვდენ, ფუთი პარკის ფასი ათიდან თორმეტი მანეთია. გასაკვირველიც არ არის, განა ჩვენი ჩარჩების ხელში ხალხს სიკეთე მოუვა?! მეტადრე გათქმული არიან ხალხის ცარცვაში ჩოხატაურისა და ხიდისთავის ჩარჩები; აი მაგალითათ: ჩოხატაურში ჩამოვიდა თფილისიდან ერთი მდიდარი ვაჭარი, რომელიც ფუთ პარკში ოცდახუთ მანეთს აძლევდა (25 მ.). ამ ვაჭარს ძალლებივით შემოეხვიენ ჩვენი ჩარჩები და ეუბნებოდენ: კაცო, ხომ არ გაგიჟდი! ფული გადასაყრელი ხომ არ გაქვსო, როგორც ჩვენ ვყიდულობთ, შენც ისე იყიდეო. ფასებიც დასწიეს. ასე აძრობენ ტყავს ჩვენებური ჩარჩები ხალხს და საჭიროა ამის წინააღმდეგ რაიმე ღონე იქმნას მიღებული.

ბ. ჟ.

—

ს. თლუღი (რაჭის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ოცი ვერსის მანძილზე დაბა ონიდან; გარშემორტყმულია პატარა მთებით ყოველი მხრიდან, ასე რომ მისი ადგილობრივი მდებარეობა ქვაბს მოგაგონებთ. რაც შეეხება ჰავას, ისოსცხლეთ აქ ძლიერ კარგი იყოს მხოლოთ ზაფხულობით, თორემ ზამთრობით ისეთი სიცივეები იცის, რომ მგელსაც უჭირს გაძლება. მაგრამ აქაურ გლეხს ჭირათ მიაჩნია თავის კერის მოშორება და რომ ჰკითხოთ, ასე მოგიგებსთ: „ქვე რას ამბობ შე დალოცვილო, ჩემ სახლში ჭირი მირჩევნია, სხვაგან ლხინსა“-ო. თუ მათ ეკონომიურ მდგომარეობას ჩავუკვირდებ თ, ნათლათ დაინახავთ, რომ თლუღელები მეტის მეტათ დაქვეითებულნი არიან: ჯერ ერთი, რომ თავის წლის საყოფი სარჩო ძლივს მოუდისთ, და თუ ვინმე გამოერევა მათში მეტი ქირნახულის პატრონი, მას ვერ გაუტანია ერთი მუჭაც გასაყიდათ ან რა ნაირათ გაიტანს, როდესაც არწივივით მივარდნილ ადგილს ცხოვრობს? თლუღელების სიმდიდრეს ღვინო და ტყე შეადგენდა, მაგრამ ამაებსაც გამოეთხოვა გულჩათუთქული უმეტესობა. ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილ გლეხს სწავლა მაინც შესწევდეს, რომ ამით მაინც შეიმსუბუქოს თავის დაბეჩავებული და უმწეო ცხოვრება და ამდენი ხნის მოხრილი ქედი გაისწოროს, მარა სწავლა-განათლებამ ამ სოფლამდე თავის ცხოველმყოფელი შუქით ვერ მიაღწია. მართალია ყველაფერი დროებითია, მაგრამ აქაური სამრევლო სკოლის საქმე საკვირველია: აქ წლობით არის სწავლა, ე. ი. ერთ წელიწადს რომ სწავლაა, მეორე წელს აღარ არის და ბავშებიც დაეხეტებიან გზა აბნეულნი. მე მგონია, და ასეც უნდა იყოს, რომ სოფლის მღვდელი ცოტათ თუ ბევრათ უნდა ცდილობდეს სოფელში სწავლა-განათლებაზე. მართალია ბევრი უმეცრებით წამოიძახებს: „ქვე რა ჯანდაბათ უნდა ჩემს ბავშს სწავლა, მამა და პაპა ჩემს თუ არ უსწავლია, მიტომ პურს ვერა სჭამდენ“-ო, მაგრამ მღვდელმა უნდა ჩააგონოს, როგორც შეგნებულმა და ახალხანაში ჩახედულმა ადამიანმა, საქმე რაში მდგომარეობს, აუხსნას მათი კარჩაკეტილი და ყოველის ფრით დატანჯული ცხოვრება, ამეების უმთავრესი მიზეზები და მაშინ ისინიც ეცდებიან. დანამდვილებით ვიცი (ბევრს პირადათაც შემოუჩივლია ჩემთვის), რომ უმეტეს ნაწილს წყურვილი აქვს სწავლისა და მზათ არის თავის სკივრში ჩაობებული ფულის ქისა უკანასკნელ გროშამდე დაიცალიეროს, თუ კი სწავლის საქმე ხეირიანათ მოეწყობა, მზათ არის აგრეთვე თავად-აზნაურობაც ძველი პატრიარქალური წეს-წყობილება შესცვალოს, ფეოდალური ქერქი შემოიცალოს და შრომას (განსაკუთრებით სწავლაზე) თავი დაუდვას. ყველა ამეებზე შარშანაც გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ გურულების სიტყვით „გურია შვეიცარიათ გადიქცა“ თლუღს კი არაფერი ეშველა.

ი. ბუღ-ი.

—

ჭიათურა. მას შემდეგ რაც აქ შავი-ქვის მადანმა თავი იჩინა, ძლიერ ბევრი წერილები იბეჭდება ჭიათურის ქვა მადნის შესახებ, როგორც ადგილობივ გაზეთებში ისე სხვებშიაც და ვისაც ხმა კი ამოუღია ყველანი სხვა-და-სხვა აზრისა არიან. შეხვდებით წერილებს, რომლებშიაც ასეთი აზრია: სად. შორაპნიდან ჭიათურამდის ვიწრო ლიანდაგის გაყვანამ დასცა შავი-ქვის ფასი და მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენაო; ზოგშიაც: რკინის გზის მეოხებით ჭიათურა გაშვენიერდა, ქვა-მადნის წარმოებას სული ჩაედგა და სხვა... არ ვიცი, რომელ ერთზე დავარწმუნო მკითხველი, მარა ჩემი შეხედულობით მეტი მომხრე ვარ უკანასკნელისა, რადგან წინანდელზე შედარებით, ჭიათურას მართლაც სულ სხვა ფერი დაედვა: ის გადიფუჩქნა, ლაფში ჩაფლული ფეხი ამოაძრო და ომამათ შემოდგა ამ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს თანა მედროვე ცხოვრების ასპარეზზე და თავისი ეკონომიური მოძრაობით ნამდვი-



საშინელი განსაცდელი

ლი გმირიც კი გახდა. მან თავის ქვა-მადნის გამოჩენის შემდეგ, ბევრს, ძლიერ ბევრს ჩაჰბერა სული და, როგორც საზღვარ გარეთლებს, ისე აქაურებსაც მიანიჭა ლუკმა (რასაკვირველია სახეში უნდა ვიქონიოთ ისინი, ვინც თავის საქმეს ჰკვიანათ მოჰკიდა ხელი, ბევრს პირიქით ტყავიც გაძვრა). ვიწრო ლიანდაგის გაყვანით თუმცა ხალხი ერთ ხანათ შედგა და ხელი შეეშალა, მარა ეს უფრო იმის მიზეზით, რომ ერთხელვე ერთ და იმავე საქმეზე მიჩვეულ კაცს, იმავე საქმის მიტოვება და სხვისი ძებნა საძნელოთ გაუხდა, მაგრამ ხალხი ისევ ჩქარა მოვიდა გონს და ახალ გარემოებას მალე მოეწყო. მეორე მხრით ლიანდაგის გაყვანა იმით შეიქნა სასარგებლო, რომ აქაურ მდაბიო ხალხში ადვილი შეიქნა სწავლა—განათლების გავრცელება: მისი საშუალებით მოვიდენ მრავალნი განათლებული პირნი, აგრეთვე ბევრი გაშორდენ თავიანთ კერას, წავიდ-წამოვიდენ, მათ ნახეს სხვა და სხვა კუთხე:—ქალაქი, სოფელი. დაათვალიერეს და დაუკვირდენ ამ სხვა-და-სხვა ალაგების ხალხის ცხოვრება—მოძრაობას, შეისწავლეს და შეიგნეს მრავალი აუცილებელი საჭირო, გამოსადეგი თავისი ცხოვრების მსვლელობაში და ამ უკანასკნელის საშუალებით, თითონაც ადვილათ შეიძლეს არსებობის ოდნავ მაინც გაუმჯობესება.ამნაირათ წინეთ თუ იშვიათი შემთხვევა იყო აქაური ხალხისათვის თავისი სოფლისა და მაზრის დატოვება, დღეს იმას სად არ შეხვდებით, რომ საქმე არა ჰქონდეს. და ეს კი დიდი საშუალებაა მდაბიო ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლათ. რაც შეხება შავი-ქვის ფასის დაცემას, ეს დიახ მართალია, მარა ესეც იმ მიზეზით, რომ რამდენათაც ადვილი საქმე შეიქმნა ხალხის მოძრაობა, გზების დამართეით და სხვა-და-სხვა ახალი იარალების საშუალებით, ისე შრომის ფასიც გაიაფდა, მაგრამ ორთაშუა რიცხვით, რომ ვთქვათ, არც იმათ უზარალიათ, ხოლო უპირულობამ და გაუტანლობამ ურთი-ერთ შორის-კი ბევრი აზარალა. წელს არც ეს ითქმის, რადგანაც წინანდელ წლებზე შედარებით, შავი-ქვის ალებ-მიცემობის საქმე, ძლიერ წინდგას და მუშა ხელსაც შემთხვევა აქვს თავისი-თავის დაფასებისა. ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ მუშა ხალხს ან წელს ჰქონდეს ყველა თავისი უფლებები მინიჭებული, არამედ იმათ ბევრი რამ აკლიათ და აკლდებათ მანამ, სანამ მათი საქმე სხვა ნაირათ არ მოეწყობა. ჩვენ სახეში გვაქვს არტელის შედგენა. ამ საგნის შესახებ უკვე ლაპარაკია აქაურ ახალ გაზდებს შორის. დღეს დღეობით ვცდილობთ ჩავაგონოთ იმ ორიოდე შეგნებულ მუშებს, რომ მათი საქმე მოიჯარადრის ხელში ძლიერ ცუდათ არის, რადგანაც მათი ოფლით ისინი ჯიბეებს ისქელებენ იმდროს, როდესაც მუშებს თითონ შეუძლიათ გონიერი და მხნე კაცის წინ გაძღოლით, თავიანთი ცხოვრება გაიუმჯობესონ. ამ ცოტა ხანში ბ. ი. კაკაბაძე თფილისში აპირობს წასვლას და აზრათა აქვს სხვების დახმარებით ამ საგნის შესახებ პროექტი შეიმუშაოს.

ზოგიერთმა აქაურმა ახალ გაზდებმა მოინდომეს აქ საკვირაო სკოლის დაარსება. ამ საქმეში ყველაზე თავ გამოდებით იბრძოდა ბ. ი. კაკაბაძე და თავისი ბრძოლა კიდეც დააგვირგვინა ნება—რთვის ალებით. სკოლა გაიხსნა, გამოჩდენ უსასყიდლოთ მასწავლებელნიც: თვით ბ. კაკაბაძე, ბ. ვაშაძე, კ. მოდებაძე, რომლებიც ერთგულათ შეუდგენ ამ მოვალეობის ასრულებას,მარა საუბედუროთ სკოლა ძალიან ღარიბია და,ცოტა არ იყოს, შეაფერხა მისი წინსვლა სხვა-და სხვა ნივთების უქონლობამ. ბ. ი. კაკაბაძემ, რომ შეხედა საქმე ცუდათ იყო და სკოლა ნივთიერ დახმარებსაც თხოულობდა, აქაც გამოიჩინა თავისი მხნეობა, და განიზრახა ხელის მოწერით ფულის შეკრება, მაგრამ ძალიან ცოტანი გამოდგენ თანა მგრძნობნი. ამის გამო იძულებული შეიქნა კიდევ სხვა საშუალებისათვის მიემართა: მან თხოვა შავი-ქვის ამხანაგობის რჩევას დახმარება. რჩევამ სკოლისათვის გამოგზანა ასი მანეთი და ამით საშუალება მიეცა ღარიბ სკოლას არსებობისა, ხოლო ბიბლიოთეკას, რომელსაც თითქმის ერთი წელია ძინავს, სიღარიბისა გამო, არა ეშველარა. ძალიან კარგი იქნება ცოტათი მაინც იზრუნავდეს მისთვის ვისაც საზოგადო საქმეზე გული შეტკივა.

ა—რე ხაბულიანი.

## საზღვარ-გარეთ

ინგლისი. „ქალთა კითხვა“ ინგლისის ქვედა პალატიდან ზედა პალატაშიაც გადავიდა. ლორდები ძალიან წინაალმდეგი შეიქნენ იმის, რომ ლონდონის თვით-მართველობაში ქალებიც ყოფილიყვენ არჩეულნი და სხვა და სხვა მოხელეებათ დანიშნულნი. აი, რა თქვა ქალთა უფლების დასაცავათ მინისტრთა თავმჯდომარემ, ლორდ სოლისბერიმ: „ლორდ დუონოვენმა თქვა, რომ ქალთათვის ამ ახალი უფლების მინიჭება, ერთიანათ ეწინაალმდეგება მათ ბუნებასა და ლტოლვილებასო. მარა მან მიიღო თუ არა მხედველობაში ის, რომ თვით-მართველობის უმთავრესი საზრუნავი იქნება მუშა-ხალხისათვის რიგიანი სადგომების დაარსება? და განა ეს არ არის უმაღლესი

კაცთ-მოყვარული მოღვაწეობა? პირიქით, ჩემი აზრით, ეს ერთი უსაჭიროესი და უძნელესი კითხვაა, რომელიც კი ჩვენმა მომავალმა მთავრობამ უნდა გადაჭრას". კითხვა სადგომებზე თანდათან საჭირ-ბოროტო კითხვათ ხდება და სადგომების ახლანდელი არა-ბუნებრივი და უზნეო პირობების ძირიანათ შეცვლა აუცილებელია. და აი, ამ საქმეში უთუოთ საჭიროა ქალების დახმარება. მუშა ხალხთან ქალებს მეტი დამოკიდებულება და მისვლა-მოსვლა აქვთ, ვინემ კაცებს, და საზოგადოთ ერთი კლასი მეორე კლასთან უფრო ქალების საშუალებით არის დაახლოვებული. „მე მგონია, განაგრძო მანვე, ქალის რომელსამე დაწესებულებაში მიღება—ეს საუკეთესო იარაღია ეგოისტურ მართვა-გამგეობის წინააღმდეგ. ქალები უფრო ღრმათ გრძნობენ იმ უსწორ-მასწორო ცხოვრებას, რომელიც ქალაქის დიდი უმრავლესობის ხვედრია. იმათ უფრო გაიტაცებსთ კაცთ-მოყვარული თანაგრძნობა, ვინემ კაცებს, რომელთა გვერდით ისინი სხედან. და თუ ქალებს საბჭოს განაშორებთ, ამით თქვენ განაშორებთ ერთ უმაღლეს და უძლიერეს ელემენტს წმინდა, უანგარო და გულ-წრფელი მოღვაწეობისას". მიუხედავათ ამისა, ლორდთა პალატამ კანონ-პროექტი უარჰყო 182 ხმით წინააღმდეგ 68 ხმისა და დაუბრუნა დეპუტატთა პალატას. აქ მაინც იმედი აქვთ, ლორდების წინააღმდეგობას დაძლიონ.

**იტალია.** ამ ჟამათ იტალიაში დიდი რეაქციაა. რადიკალთა და სოციალისტთა პარტიების განვითარებამ ისე დააშინა მთავრობა, რომ მან პარლამენტში ახალი კანონ-პროექტი წარადგინა დემოკრატიის წინააღმდეგ. მემარცხენე დეპუტატები საშინლათ აღელვა ამ გარემოებამ და მიმართეს „ობსტრუქციას" ე. ი. იმდენი წვრილმანი ფორმალური კანონების შესრულება მოითხოვეს, რომ პროექტის განხილვის დრო სრულიად აღარ რჩებოდა. გულ-გატეხილმა სამინისტრომ პროექტი უკან წაიღო და სამაგიეროთ პარლამენტს წარმოუდგინა მეფის დეკრეტი, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 8 ივლისს, ხოლო პარლამენტმა თავისი ნებართვით კანონათ უნდა აქციოს. აი, ამ დეკრეტის მუხლები: 1, „პოლიციას უფლება ეძლევა აკრძალოს საზოგადო თავ-ყრილობა და მიტინგები: 2, შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლევა აკრძალოს ის საზოგადოებები, რომელთა მიზანია შეცვლა თანამედროვე სოციალური წყობილების და სახელმწიფოს მართველობისა; 3, სამი და მეტი მოხელე ან მუშა რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და განათების (გაზი ან ელექტრონით), რომელნიც გაფიცვის შესახებ მოილაპარაკებენ, დაისჯებიან სამი თვით ციხით ან და დააჯარიმებენ ათასი ლირით (400 მან.), და სხ. ერთი სიტყვით კონსტიტუციის უმთავრესი მუხლები გაუქმებულია და ყოველივე უფლება ისევ პოლიციას უბრუნდება. ამ დეკრეტმა კიდევ უფრო აღელვა პარლამენტი, თითქმის ყველა მოწინავე პარტიებმა ის კონსტიტუციის დამრღვევათ იცნეს. მიუხედავათ ამისა, უმრავლესობამ მიიღო წინადადება, რომლის ძალით დეკრეტის განხილვა 15 სხდომაზე უნდა გათავებულიყო. სოციალისტებმა ისევ ობსტრუქციას მიმართეს და ერთი ხდომა სრული არეულობით და მუშტი-კრივით დაბოლოვდა. ეს გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. ერთმა ოპოზიციონისტმა მოითხოვა დეპუტატთა სახელი და გვარის ამოკითხვა და გაგება რამდენი აკლია სხდომას, რაც შეუსრულებელ იქმნა. მეორემ მოითხოვა სახელი და გვარის ხელ-ახალი ამოკითხვა პროტოკოლის გამო. ახლა კი ველარ მოითმინა თამჯდომარემ და ეს დროს დასაკარგავი წინადადება მხედველობაში არ მიიღო. ატყდა ყვირილი და აურზაური. თავმჯდომარემ სხდომა შეწყვიტა და ცოტახანს შემდეგ ისევ დაიწყო. სოციალისტები ისევ დეპუტატთა სახელების ამოკითხვას თხოულობდენ, თავმჯდომარე კი დეკრეტის განხილვას შეუდგა და უმრავლესობამ კენჭის ყუთთან გაიწვია. ოპოზიციამ დატოვა თავის საჯდომი, მივარდა ყუთებთან და კენჭის ჩაგდება აღარ დაანება უმრავლესობას. ატყდა კრივი. კონსერვატორები თავს დაესხნენ განსაკუთრებით სამ სოციალისტს (მეთაურთ) და ძალიან სცემეს. შეიქნა საერთო ჩხუბი, რომელშიაც ასზე მეტმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. ბოლოს, როგორც იყო სათითაოთ გამოიყვანეს გარეთ და დამშვიდდენ. დეკრეტი კი კომისიას გადასცეს.

**ბელგია.** კიდევ მეტი არეულობა ბელგიაში დატრიალდა. აქაც ერთი რეაქციონური საარჩევნო კანონ-პროექტი შეიტანა მთავრობამ პარლამენტში. ოპოზიციამ აქაც ობსტრუქციას მიმართა, რაიცა აქ ქუჩის არეულობით და სისხლის ღვრით დაბოლოვდა. ხალხის დიდი არეულობა მოხდა 6/28 ივნისს. აი დაწვრილებით ამ დღის ამბები: პარლამენტში სოციალისტმა ვანდერველდმა წინადადება შეიტანა, სხდომაზე გარეშე მაყურებლები თავისუფლათ იქმნან შემოშვებული გალერიაზეო. უმრავლესობამ უარჰყო ეს და შეუდგა ბიუჯეტის განხილვას. შეიქნა ყვირილი, სტვენა და აურზაური. დეპუტატი ფურნემანი იძახის: ძირს კლერიკალებიო, პასუხათ ერთმა კლერიკალმა ჯოხი დასცა თავში, ფურნემანი წაიქცა, მასთან მოცვივდენ მისაშველებლათ, მთელი ოპოზიცია მუშტით ჩაერია კლერიკალთ და გაჩნდა კრივი. თავმჯდომარემ ამ საერთო ჩხუბში სხდომა დახურა და გარეთ გავიდა. პარლამენტის წინ ხალხი

მოგროვდა—და გარეთ გამოსულ ფურნემანს ალფრთოვანებით მიეგება. ხალხმა ფურნემანის წინამძღოლობით ქუჩებში მანიფესტაცია მოახდანა და საღამოს დიდ თეატრში პაემანი დანიშნა. დანიშნულ დროს იმდენი ხალხი მოაწყდა თეატრს, რომ მისი დატევა აღარ შეიძლებოდა და სამ ალაგას მოახდინეს მიტინგი. ორატორთა სიტყვების უმთავრესი საგანი იყო ახალი კანონ პროექტი. საერთო ალფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა როცა თავმჯდომარე ხალხს შეეკითხა: ხომ არ უღალატებთ თქვენ დეპუტატებს, როცა ესენი პარლამენტს დატოვებენ და საძულველ პროექტის განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენ?—უკან გავყვებით, სიკვდილი ჯობს მუდამ სილარიბეში ყოფნასო—იგრიალა ხალხმა. ათ საათზე დასრულდა ყველა მიტინგი და ხალხი ქუჩებში ერთათ გაემართა. სამეფო ქუჩაზე ხალხი დააყენა პოლიციამ და არ გაუშვა. ხალხს და პოლიციელთ შორის გაიმართა ჯერ კრივი, მერე ჯოხი და ქვები მოიშველიეს. 11 საათზე მოვიდა ჟანდარმთა როტა და ხმლით ხელში ჩაერია ხალხს, ხალხი უცებ შეშინდა და უკან დაიწია, მარა ჩქარა გონს მოვიდა და წინ უფრო მედგრათ გაექანა. ტროტუარები აჰყარეს და ჟანდარმებს ქვები სეტყვასავით მიაყარეს. ერთ მახლობელ ქუჩაზე ბარიკადა ამართეს, ჯარმა მოუსწრო და დაუნგრია: ბრძოლიამ გაატანა დილის სამ საათამდის. ორივე მხრით ბევრია დაჭრილი. იმათ შორის არის რამდენიმე დეპუტატი და სენატორი, განსაკუთრებით, მუშათა პარტიის მეთაური, დეპუტატი ვანდესფელდი. დატყვევბით კი ცოტა იყო დატყვევბული, სულ ექვსი და ესენიც მეორე დღესვე გაანთავისუფლეს. იმავე დღეს მოხდა მანიფესტაციები პრავინციებში, ძირს სამინისტრო! ისმოდა პრავინციის ქალაქების ქუჩებში. ამ არეულობამ გასჭრა, კანონ პროექტი მთავრობამ უკან წაიღო...

**რუმინია.** გასულთვეში პატარა რუმინიაშიაც სისხლი დაინთხა. რამდენიმე ათას გლეხმა თავი მოიყარა სალტანოს რკინის გზის სადგურზე და მოითხოვა მატარებელი ბუქარესტში წასასვლელათ და მეფესთან საჩივლელათ, დეპუტატთა უკანასკნელ არჩევნების უწეს რიგობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ გლეხების კანდიდატები გაშავებულიან პოლიციის ძალდატანებით. სადგურის უფროსმა მატარებელი არ მისცა და პოლიციას შეატყობია. პოლიციამ მახლობელი ქალაქიდან ჯარი გამოიწვია და ცოტა ხანში მატარებლით კიდევაც მოვიდა. ჯარი ხალხმა ქვის სროლით მიიღო. ჯარმა ცარიელი თოფები დასცალა შესაშინებლათ; გლეხები უცებ დაიბნენ, მარა, როცა გაიგეს არავის არაფერი მოხვედრიაო, იფიქრეს ტყვიის სროლის უფლება არ აქვთო და წინ წამოვიდენ. სალდათებს დაუშინეს ქვები და ჯოხები. მაშინ კი იგრიალა თოფებმა, ერთხელ ორჯელ და გლეხებმაც უკან დაიწიეს და გაიქცენ. მოკლულ იქმნა 14 გლეხი, ხოლო დაჭრილია 60-მეტი გლეხი, სალდათი და აფიცერი. მშვიდობიანობა დაამყარეს. გლეხები არ გაუშვეს ბუქარესტში.

**შვეიცარია.** შვეიცარიის მთავრობამ შვეიცარიის პარლამენტს წარუდგინა შემდეგი კანონ-პროექტი: რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის და გემების მოხელეთა და მუშათა სამუშაო დღე განისაზღვროს 11 საათით, ხოლო სადაც შესაძლო იქნება ამაზე ნაკლებითაც. ლოკომატივის და მატარებლის მოსამსახურეთ დღე და ღამეში უკანასკნელი ათი საათის განუწყვეტელი მოსვენება უნდა ჰქონდეთ, დანარჩენთ კი 9 საათისა. აიკრძალოს ქალების მუშაობა ღამ-ღამობით (საღამოს 10 საათიდან დილის 4 საათამდის). მიეცეს წელიწადში 52 თავისუფალი დღე, ამათში 17 უნდა იყოს კვირა. თავისუფალი დღე შეიცავს 24 საათს. საქონლის მატარებლის მიმოსვლა აიკრძალოს ყოველ კვირა დღეს, ამას გარდა შობას, ახალ წელიწადს, წითელ პარასკევს და ამაღლებას. პარლამენტის კომისიის უმრავლესობამ მიიღო ეს მუხლეპი, ხოლო უმცირესობამ მოითხოვა სამუშაო დღის კიდევ უფრო შემოკლება. მუშათა საზოგადოების ცენტრალურ გამგეობამ კი მოითხოვა, სახელმწიფოს მუშებისათვის 9 საათით განსაზღვროს სამუშაო დღეო. სახელმწიფომ მაგალითი უნდა მისცეს კაპიტალისტებსო.

**ბაზარი.** ქ. ლიონში გასულ თვეს აბრეშუმის დიდი მოთხოვნილება იყო. ფაბრიკანტებს გამოლევიათ აბრეშუმის ძაფის „ზაპასი“ და პარკის ფასებიც აწეულა. პარკის მოყვანა უკვე კათავებულია, როგორც იტალიაში, ისე საფრანგეთში. კილ. პარკი ($2^1/_2$ გირ.) შარშან იენისში ღირდა 2 ფრ.—75 სანტიმი და 3 ფრ. და 50 სანტიმამდე (100—138 კაპ.), ხოლო წელს კი 3 ფრ. 50 სან. — 4 ფრ. 25 სანტიმამდე (138—174 კაპ.).



## რ წ მ ე ნ ა.

(ჩემს მეგობრებს)

თუმცა ცხოვრებამ კი გამწამა,
რაც გულს ახარებს უკუ აბრუნა;
თუმც ბედის წყრომამ ჯერ ისევ ჭაბუკს
ტანჯვა წამება წილად მარგუნა;

თუმც ხალხისაგან ფარისევლობის
გარდა ჯერ არა რა მაგონდება;
თუმც ცეცხლის ალში ისე გაწვდეგი,
რომ ერთ ტკბილ წამიც არ მელანდება.
მარა აწი კი ამ ნაირი რამ
თავის ძალ-ღონით ვერ მაზიანებს;
ცეცხლისა ალში ასჯერ ნაწდომ გულს
მის გრძემლის ცემა ვერ შეაშინებს!
გამკლავებული ერთსელვე რწმენა
არა მექარით არ შემეცვლება;
ის მტკიცეთ არის და მომავალსა
იმედით სავსე წინ ეგებება;
მისგან გულსაც კი სრული იმედი
წმინდა-წმინდათ აქვს შეთვისებული
და ამ იმედსა ვერა რა ღონით
ვეღარ ამოგლეჯს ვერა მტრის ხელი!
ყველა ის ძალა, რაც კაცს აბრკოლებს,
ჩემთვის კი მხოლოთ სიხარულია,
მას ჩემი გული, სმენა, იმედი,
დაბადებიდან შეჩვეულია.
ვერავის მტრობა, შური, ღალატი
ამ არჩეულ გზას ვერ შემაცილებს;
რამდენს მდევნიან ამ ჩემ რწმენისთვის
მე ის მას უფრო შემაკავშირებს!..

ა—რე ხაბულიანი.

# ევროპის

## ძველი და ახალი მეურნეობა.[1]

### I

### გლეხი და მრეწველობა.

კაპიტალისტური წარმოების წესი ჩვეულებრივ (ზოგიერთ კოლონიების გამოკლებით) ქალაქებში იბადება, მრეწველობაში ვითარდება. მეურნეობა დიდი ხნის განმავლობაში თითქმის მთლათ ხელ-შეუხებელი რჩება მისი გავლენისაგან. მაგრამ ბოლოს მრეწველობის განვითარება მაინც მოქმედობს მეურნეობაზე და სამეურნეო წარმოებას სულ სხვა ხასიათს აძლევს.

საშუალო საუკუნოებში გლეხის ოჯახი ერთ თითქმის სრულიად კარჩაკეტილ ეკონომიურ კომმუნას შეადგენდა; მას მოჰყავედა არა თუ მარტო საკვები მასალაა, არამედ სახლსაც თითონ იშენებდა, მებელს და ოჯახის სხვა-და-სხვა ნივთებს თითონ იკეთებდა, სამუშაო იარაღების უმრავლესობასაც-კი თითონ ამზადებდა. აგრეთვე თითონ თელავდა ტყავს, და ამუშავებდა ხოლმე სელს და მატყლს; თითონ იმზადებდა ტანისამოსს და სხვ. მართალია, გლეხი ბაზარზეც გადიოდა, მაგრამ აქ იგი ჰყიდდა გარდამეტს იმისას, რასაც თითონ აწარმოებდა, და ყიდულობდა ისეთ რამეებს, რომლებიც მისთვის მაინცა და მაინც აუცილებლათ საჭირო არ იყო და რომ არ ჰქონებოდა, მაშინაც ამით არა გაუჭირდებოდა-რა. ერთ ნაკლებულებას შეადგენდა რკინა, რომელსაც გლეხი ბაზარში ყიდულობდა და რაც შეიძლება, დაზოგვით და გაფრთხილებით ხმარობდა. ბაზრის ასეთი თუ ისეთი მდგომარეობისგან მისი კომფორტი, მისი —ასე ვთქვათ— ფუფუნება იყო დამოკიდებული, და არა მისი არსებობა.

ეს თვით დამაკმაყოფილებელი კომმუნა (ოჯახი) მეტათ მტკიცე და მჭიდრო რამ იყო. ყველაზე უფრო უარესი, რაც მას შეიძლებოდა შემთხვევოდა,—იყო მოუსავლობა ან მტრის ჯარის შემოსევა, მაგრამ ეს უბედურებაც მხოლოთ წარმავალი უბედურება იყო და ოჯახის სიცოცხლის ძარღვს ვერ წყვეტდა. მოუსავლობას ოჯახი წინდაწინვე შენახული ხორაგეულობის წყალობით გაუძლებდა; საქონელს რძე და ხორცი შემოჰქონდა, აგრეთვე ტყე და წყალიც იძლეოდა საკვებ მასალას. ტყეში საშენი ხე ბლომათ მოიპოვებოდა, რომ გადამწვარი სახლის მაგიერ ახალის აშენება შეძლებოდათ. მტრის შემოსევის დროს ოჯახი ტყეში გაიხიზნებოდა თავისი ურმით და პირუტყვეულობით და მხოლოთ მაშინ დაბრუნდებოდა უკან, როცა მტერი სოფელში აღარ იყო. მტერს ყველაფერიც რომ ძალიან აეოხრებია, სახნავ-სათესავ მიწას, ტყეს, ამ საფუძველს გლეხის ცხოვრებისას, ვერას დააკლებდა. ოჯახს სამუშაო ძალა თუ საკმაოთ დარჩებოდა, თუ თვით ადამიანები და პირუტყვი ხიფათს გადურჩებოდენ,— მტრისგან მოხდენილ ზარალს ოჯახი მალე გაასწორებდა.

ჯერ კიდევ ამ ჩვენ საუკუნეში კონსერვატორ-ეკონომისტმა სისმონდიმ დამოუკიდებელი გლეხობის მდგომარეობა, რომელიც იმავე დროს მის იდეალს შეადგენდა, ასე აღფრთოვანებით დაჰხატა: „სოფლიური ბედნიერება, რომელსაც ჩვენ ისტორია იტალიის და საბერძნეთის სახელოვან ხანებში გვიჩვენებს, ჩვენ საუკუნეშიაც არ არის უცნობი. ყველგან, საცა კი გლეხს მამული აქვს, არსებობს კეთილ-დღეობა, სიმტკიცე და იმედი მომავლისა, რაც ბედნიერების და სათნოების განმტკიცებელია. გლეხი, რომელიც თავისი შვილებით თავის პატარა მამულზე მუშაობს, არც იჯარის სარგებელს და არც ქირას არავის აძლევს, საკუთარ პურს ჭამს, საკუთარ ღვინოს სვამს,

[1]) კ. კ—ის ერთი ახალი წიგნიდან.

საკუთარი ხელით მოყვანილ სელისა და მატყლისგან დამზადებულ ტანთ-საცმელს აცვამს, ასეთ გლეხს აინუნშიაც არ მოსდის ბაზრის ფასები, რადგან იგი ძალიან ცოტას ყიდულობს და ძალიან ცოტა რამესაც ჰყიდის. ვაჭრობის კრიზისიც მას ვერას დროს ვერ გაანადგურებს. მას არ ეშინია მერმისის, ეს მერმისი უმჯობესდება კიდეც გლეხის ხელში: ყოველ წუთს გლეხი თავისი შვილების—და არა მარტო თავისი შვილების,—მომავალი საუკუნოების სასარგებლოთაც ხმარობს. გლეხს ცოტა დრო ჭირდება იმისთვის, რომ მიწაში კურკა ჩაფლას, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ უზარმაზარ ხეთ გახდება; რომ თხრილი გაიყვანოს, რომელიც მის მიწას სამუდამოთ გააშრობს; რომ წყაროდან მოსარწყავი არხი გამოიყვანოს; რომ მოცლილ დროს, თან თანობით შრომით სხვა და სხვა გვარი პირუტყვები და მის გარშემო არსებული მცენარეები გააუმჯობესოს. მისი პატარა მამული სწორეთ ნამდვილი შემნახველი კასსაა, რომელიც მუდამ მზათაა, გლეხის პატარ-პატარა მონაგები მიიღოს, მისი ყველა მოცლილი წუთები გაანაღდოს. ბუნების მუდამ მომქმედი ძალა ნაყოფიერათ ჰხდის ამ შრომას და ას-წილათ აჯილდოვებს მწარმოებელს. გლეხი მეტათ ძლიერათ გრძნობს ამ ბედნიერებას, რომელიც მის მამულთან არის შეკავშირებული" (J. C. L. Sismonde de Sismondi: Etudes sur l'économie politique, I გვ. 170, 171).

დიაღ, ამ სამოცი წლის წინეთ ერთ ცნობილ ეკონომისტს შეეძლო ასე ვარდის ფერათ დაეხატა წერილი გლეხობის ბედნიერება. შეიძლება, სურათი ცოტა გადაჭარბებულიც იყოს; ეს საზოგადოთ მაშინდელ გლეხობის მდგომარეობის სურათს არ წარმოადგენდა. სისმონდის მაშინ განსაკუთრებით შვეიცარია და ზემო-იტალიის ზოგიერთნი მხარეები ჰქონდა სახეში. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სისმონდის მიერ გარდმოცემული სურათი მოგონილი არაა, პირიქით, იგი გამჭრიახი მეთვალყურისაგან დახატული სურათი არის.

აბა ახლა შეადარეთ ამას დღევანდელი გლეხობის მდგომარეობა მთელ ევროპაში, შვეიცარიის გამოუკლებლათაც, და ადვილათ ნახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში დიდი ეკონომიური რევოლიუცია მომხდარა.

პირველ ნაბიჯს ამ ეკონომიური ცვლილებისაკენ შეადგენდა ის, რომ გლეხური ხელოსნობა ქალაქის მრეწველობამ და საქონლის ვაჭრობამ მოშალა.

გლეხის ოჯახში შრომის განაწილება ძალიან ნაკლებ შეიძლებოდა. ეს განაწილება მამაკაცის შრომით იყო განსაზღვრული და ამ ფარგალს აღარც დედაკაცი ცილდებოდა, ამიტომ რაღა საკვირველია, რომ ქალაქის მრეწველობამ მალე გლეხის ხელოსნობას გადააჭარბა და ისეთი იარაღები შეუქმნა გლეხს, რომლისთანების გაკეთება ამ უკანასკნელს სრულებით არ შეეძლო. მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებამ ქალაქებშიაც წარმოშობა ახალი მოთხოვნილებანი, და ეს მოთხოვნილებანი, როგორც ახალი იარაღები, ქალაქსა და სოფელს შუა მიმოსვლის გახშირების კვალობაზე, სოფელში გადადიოდა და იქ ვრცელდებოდა. ეს იყო ისეთი მოთხოვნილებანი, რომლების დაკმაყოფილებაც გლეხების მრეწველობას არ შეეძლო. „ხამის" და ბეწვეულის ალაგას მაუდი გაჩნდა, ხის ტყავისაგან გაკეთებულ ფეხსაცმელების მაგიერათ ტყავის ჩექმები შემოვიდა და სხვ. მილიტარიზმმაც, რომელსაც გლეხების შვილები ქალაქებში მიჰყავს და მათ ქალაქის მოთხოვნილებებს აცნობს, ძალიან ხელი შეუწყო ამ განვითარებას. თუთუნის და არაყის ხმარების გავრცელება განსაკუთრებით მილიტარიზმის ბრალია. და ბოლოს ქალაქის მრეწველობის უაღრესობა ზოგიერთს დარგებში ისეთი დიდი გახდა, რომ გლეხურ სამრეწველო ნაწარმოებთა წარმოება დროს და შრომის გაფლანგვა შეიქნა და ამიტომ გლეხი იძულებული გახდა, ამ წარმოებისთვის თავი დაენებებია. ბამბის მრეწველობის განვითარებამ, მაგალ., რომელიც ასე იაფ ფასიან ჩითებს ამზადებს, ყველგან ძალიან შეჰკვეცა სელის მოყვანა გლეხის საკუთარი მოთხოვნილებისათვის, და ბევრ ადგილას სრულიად მოსპო კიდეც.

გლეხური საკუთარი ხმარებისთვის მწარმოებელი მრეწველობის დარღვევა ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებში დაიწყო, როცა ქალაქური ხელოსნობა წარმოსდგა. მაგრამ ხელოსნობა ქალაქიდან სოფელში ძალიან ნელ-ნელა ვრცელდებოდა, იგი უფრო ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში დარჩა განსაზღვრული და ამიტომ მან გლეხობის ცხოვრების პირობებზე ძალიან ცოტა გავლენა იქონია. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა სისმონდი გლეხის ბედნიერებით აღტაცებაში მოდიოდა, იმმერმანს გამოჰყავს ერთ თავის თხზულებაში („Münchhausen") ერთი მსხვილი მესაკუთრე გლეხი, რომელიც ასე ლაპარაკობს: „მართლა ჩერჩეტია ის, ვინც მჭედელს აძლევს, რის გაკეთებაც თითონ შეუძლია". ამავე გლეხზე არის იქვე ნათქვამი. „რომ იგი თავის სახლში კარების, ყუთების და სხვ. შემკეთებელი და ახლების გამკეთებელიც თითონ არისო. და რომ მოისურვოს, დურგლობასაც კი გასწევს და მეტათ კარგ შკაფს გააკეთებსო". ისლანდიაში დღესაც სრულიად არ არსებობს განკერძოებული ხელოსნობა. გლეხი იქ კიდევ თავისი საკუთარი ხელოსანია.

მხოლოთ კაპიტალისტური მრეწველობა არის ისეთი უაღრესობის მქონე, რომ იგი გლეხის ოჯახურ მრეწველობას სწრაფათ აძევებს ასპარეზიდან; მხოლოთ კაპიტალისტურ მიმოსვლის მოწყობილობას, თავისი რკინის გზით, ფოსტით, გაზეთებით, გააქვს ქალაქის აზრი, შეხედულობანი და ნაწარმოებ[ნი] სრული-

ად მიყრუებულ სოფლებშიაც-კი და ამგვარათ უმორჩილებს ქალაქს არა მარტო ახლო-მახლო მდებარე სოფლებს, არამედ მთელ სოფლის ხალხს – მრეწველობის განვითარების პროცესს.

რამდენათაც ეს პროცესი წინ მიდის, რამდენათაც გლეხის ოჯახური მრეწველობა ირღვევა, იმდენათვე იზრდება გლეხისთვის ფულის საჭიროება. გლეხს ახლა ჭირდება ფული არა მარტო იმისთვის, რომ თავისი „ფუფუნების“ დამაკმაყოფილებელი ნაწარმოებნი იყიდოს, ე. ი. ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს; არამედ, ახლა მას ფული აუცილებლათ საჭირო ნაწარმოებების საყიდლათაც უნდება. ახლა მას უფულოთ წარმოების განგრძობა, თავის შენახვა აღარ შეუძლია.

გლეხის ფულის მოთხოვნილების გაზრდისთანავე გაეზარდათ აგრეთვე ფულის მოთხოვნილება იმ ბატონებსაც, რომელნიც გლეხს ჰყვლეფდენ,—ფეოდალურ ბატონებს, თავადებს და სხვა სახელმწიფო ძალის წარმომადგენლებს. ამის შედეგი იყო ის, რომ გადასახადი, რომელსაც გლეხი წინეთ ნატურით იხდიდა, ახლა ფულით გადასახადათ აქციეს. ამასთან ცდილობდენ, რასაკვირველია, რომ ეს გადასახადი უფრო ზევით და ზევით აეწიათ. და ამით, რა თქმა უნდა, გლეხისთვის ფულის მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა.

ერთათ ერთი სახსარი გლეხისთვის ფულის შესაძენათ ის შეიქნა, რომ მას თავისი ნაწარმოებნი საქონლათ უნდა ექცია და ბაზარზე გაეტანა გასაყიდათ. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ნაწარმოებნი მისი უკან ჩამორჩენილი მრეწველობის ნაწარმოებნი ვერ იქნებოდა, რომლების მყიდველი აღარავინ იყო, არამედ ისეთი ნაწარმოებნი, რომლებსაც ქალაქის მრეწველობა არ ამზადებდა. ამგვარათ გლეხი თან და თან გახდა იმათ, როგორსაც მას ჩვენ დღეს ვხედავთ და რაც ის წინეთ სრულებით არ ყოფილა: იგი მხოლოდ მეურნე შეიქმნა. მაგრამ რამდენათაც ეს ასე ხდებოდა, რამდენათაც მეურნეობა მრეწველობისაგან განცალკევდა, იმდენათვე გაჰქრა დამოუკიდებლობა, სიმტკიცე და მოთავსებულობა (Behaglichkeit),—თვისებები, რომლებსაც სისმონდი აქა-იქ კიდევ ამჩნევდა გლეხების ცხოვრებაში.

გლეხი ახლა ბაზრისგან დამოკიდებული შექნა, იმ ბაზრისგან, რომელიც ტაროსზე უფრო თავისნება და ცვალებადია. ცუდი ტაროსის წინაღმდეგ გლეხს შეეძლო რამდენათმე მაინც თავის დაცვა. იგი გაიყვანდა თხრილებს და ამით ჭინჭყიან ზაფხულის მოქმედებას შეასუსტებდა: მოსარწყავ არხებს გამოიყვანდა და გვალვას შეებრძოლებოდა; ვაზში ცეცხლს ააბოლებდა და ამით ვენახს ცივი გაზაფხულისთვის გააძლებინებდა და სხვ. მაგრამ ახლა, ახლა მას აღარავითარი სახსარი არ აქვს, რომ ფასების დაცემას წინაღუდგეს და გაუყიდველი ხორბალი გასაყიდათ გაჰხადოს. და, აი, სწორეთ ის, რაც წინეთ მისთვის ღვთის წყალობა იყო, ახლა ღვთის რისხვათ გარდაიქცა, ე. ი. კარგი მოსავალი. ეს ნათლათ გამოჩნდა სახელდობრ ამ საუკუნის დამდეგს, როცა დასავლეთ ევროპაში სამეურნეო წარმოებას საზოგადოთ საქონლის წარმოების ხასიათი მიეცა, მაგრამ გზები-კი განუვითარებელი იყო, რაც სხვა და სხვა ადგილებში გარდამეტის და ნაკლებულობის გასწორებას საძნელოთ ჰხდიდა როგორც მოუსავლობა ფასებს სწევდა, ისე კარგი მოსავალი ფასებს სცემდა, აი, რაფასები ჰქონდა საფრანგეთში პურის მოსავალს:

| | მოსავალი შუათანა რიცხვით ჰექტარზე: | ფასი ჰექტოლიტრის: |
|---|---|---|
| 1816 წ. | 9,73 ჰექტოლიტრა | 28,31 ფრანკი |
| 1817 „ | — „ | 36,16 „ |
| 1821 „ | 12,25 „ | 17,79 „ |
| 1822 „ | — „ | 15,49 „ |

ამ სახით საფრანგეთის მეურნეებმა 1821—22 წლებში შუათანა რიცხვით, ერთი მესამედით გადიდებულ მოსავალში ჰექტარზე 200 ფრანკი აიღეს, ე. ი. ერთი მესამედით ნაკლები, ვინემ 1816—17 წლებში. ამას შემდეგ საკვირველი აღარაა ის ფაქტები, რომ იმ დროს საფრანგეთის მეფემ პარლამენტს თავისი გულმტკივნეულობა გამოუცხადა, არავითარ კანონს არ შეუძლია „იმ ზარალის თავიდან აცილება, რომელიც გარდამეტი მოსავლისგანაა წარმომდგარიო“.

რამდენათაც სამეურნეო წარმოება საქონლის წარმოებათ იქცეოდა, იმდენათვე შეუძლებელი ხდებოდა მწარმოებელს, როგორც ძველებურათ ნაწარმოები, პირდაპირ მომხმარებლისთვის მიეყიდა. რამდენათაც ფართოვდებოდა და შორს იწევდა ბაზრები, რომლებისთვისაც სოფლელს ნაწარმოებნი მოჰყავდა, მით უფრო საჭიროებდა ეს უკანასკნელი შუა-კაცს. და, აი, ვაჭარი დგება მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის; ის თვალ-ყურს ადევნებს ბაზრების მდგომარეობას, უფრო ადვილათ ითვალისწინებს ბაზრის პირობებს, ვინემ სოფლელი, ის რამდენათმე ბატონობს კიდეც ბაზარზე და ამ გარემოებას იყენებს გლეხების გასაყვლეფათ.

ხორბლის და შინაური საქონლის ვაჭარს მალე თან ერთვის მევახშეც, თუ პირველი ერთ და იმავე დროს ვაჭარიც და მევახშეც არ იყო. ცუდი მოსავლის დროს გლეხს არ ჰყოფნის თავისი ფული, რომ მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. იგი იძულებული ხდება, მევახშის კრედიტს მიჰმართოს და თავისი მამული მევახშეს დაუგირაოს. გლეხი მევახშის კაპიტალის ბრჭყალებში ვარდება და ძალიან ძნელათაც აღწევს მას თავს. უფრო ხშირათ თავის დაღწევა შეუძლებელი ხდება, მევახშისგან დადებული ტვირთი მეტათ მძიმე ჩნდება, ასე რომ ბოლოს საქმე იმით თავდება, რომ გლეხის მამული „ტორგით“ იყიდება და მევახშე და აგრეთვე „ბორჩიკიც“ კმაყოფილდებიან. რაც წინეთ მოუსავლობამ, ცეცხლმა და მახვილმა ვერ შესძლო, ამას ახლა ხორბლის და შინაური საქონლის ბაზრის კრიზისი ასრუ-

ლებს. ამას მოაქვს გლეხისთვის არა გარდამავალი უბედურობა, რომლის გასწორება შეიძლება; უფრო ხშირათ იგი აცლის გლეხს ხელიდან ცხოვრების სახსარს, მიწას, და ჰქმნის მას პროლეტარათ. თავისუფალი გლეხის კეთილ დღეობის, დამოუკიდებლობის და სიმტკიცის დასასრული სწორეთ იქ იწყება, როცა მისი ოჯახური მრეწველობა ირღვევა და როცა მას კისერზე ფულის გადასახადი ედება.

ქალაქის მრეწველობის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე გლეხის ოჯახის დარღვევასაც. წინეთ გლეხის მამული იმდენი მიწისგან შესდგებოდა, რამდენიც-კი გლეხის ოჯახის გამოსაკვებათ და ბატონისთვის ბეგრის გადასახდელათ საკმარისი იყო.

მაგრამ რაც უფრო და უფრო გლეხი ბაზრისგან დამოკიდებული ხდებოდა, რაც უფრო მეტ ფულს საჭიროებს ის, მაშასადამე, რაც უფრო დიდი გახდა ის გარდამეტი საკვები მასალებისა, რომლებიც მას უნდა მოემუშავებია და გაეყიდა, მით უფრო მეტი ბინა სჭირდებოდა გლეხს თავისი ოჯახის სიდიდესთან შედარებით,—თუ წარმოების წესს შეუცვლელს ვიგულისხმებთ, – რომ თავისი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებია. ერთხელ არსებული წარმოების წესის შეცვლა თავის ნებაზე მას არ შეეძლო, არ შეეძლო აგრეთვე მამულის გადიდება - გაფართოებაც. მხოლოთ მას შეეძლო, საკუთარი ოჯახი შეემცირებია, ზედ მეტი სამუშაოძალა მამა-პაპეული ეზოსგან მოეშორებია და სხვის სასამსახუროთ გაეგზავნა,—ან მოჯამაგირეთ, სალდათათ, ან ქალაქის პროლეტარათ, ან და ამერიკაში ახალი ოჯახის დასაარსებლათ. ამგვარათ გლეხის ოჯახი მეტათ შემცირდა, დაპატარავდა.

კიდევ ერთი სხვა გარემოებაც მოქმედებდა ამავე მიმართულებით. მეურნეობა ისეთი მოქმედება არაა, რომელიც სამუშაო ძალას მუდამ ერთნაირათ საჭიროებდეს. დრო გამოშვებით, ხვნა-თესვისა და მკის დროს, ის მრავალ სამუშაო ძალას თხოულობს, სხვა დროს კი - თითქმის სულ არა. ზაფხულობით სამუშაო ძალის მოთხოვნილება მეურნეობაში ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერაც მეტია იმაზე, რაც ზამთრობით.

სულ სხვა ნაირათ იყო საქმე, როცა გლეხის ოჯახური მრეწველობა არსებობდა. თუ მაშინ გლეხის ოჯახი ყანის მუშაობას მორჩომილი იყო, შინ მუშაობდა, სამრეწველო ნაწარმოებებს ამზადებდა. ამ შინ მუშაობას დასასრული ეძლევა მაშინ, როცა გლეხის ოჯახური მრეწველობა ჰქრება. და, აი, აქ არის მეორე მიზეზი იმისა, რომ გლეხი თავის ოჯახს აპატარავებს; ის ამ დაპატარავებით თავიდან იშორებს ტყუილა მჭამელებს ზამთარში.

ჩვენ აქ მხოლოთ იმ გავლენაზე ვლაპარაკობთ, რომელიც აქვს გლეხთა ოჯახური მრეწველობის გაქრობას. ამ გავლენის შემცირება შეუძლია წარმოების შეცვლას მეურნეობაში; მაგალითათ, როცა ექსტენსიური ძოვის ეკონომია (Weidewirtsehaft) შეიცვლება და მის ნაცვლათ ინტესიური საქონლის მოშენება დაიწყება, რაც მეტ შრომას თხოულობს. მაგრამ მოხდება აგრეთვე წარმოებაში ისეთი ცვლილებაც, რომელიც ზემოთ ნახსენებ გავლენას, შემცირების მაგიერათ, ადიდებს კიდეც. მაგალითათ, ძველათ პურს ზამთარში გალეწდენ ხოლმე, როცა უფრო მოცლილი იყვენ. სალეწი მაშინის შემოღებამ ამას სრულებით ბოლო მოუღო და ამით კიდევ ერთი მოტივი გაჩნდა გლეხის ოჯახის დაპატარავებისათვის.

ისინი კი, რომლებიც შინ რჩებიან, იძულებული არიან, მით უფრო მეტი ჭაპან-წყვეტა გამოსცადონ, მაგრამ მიუხედავათ ამ ჭაპან-წყვეტისა, ისინი საკუთარის ძალ-ღონით მაინც ვერ ძლებულობდენ იმ დანაკლისის შევსებას, რომელიც მუშა ხელის გარეთ წასვლაზე წარმოსდგებოდა ხოლმე. საჭირო გახდა, დამხმარე მუშები მოეპოვებიათ, ქირაზე მომუშავენი დაექირათ, რომლებსაც გაცხარებული მუშაობის დროს ამუშავებდენ და შემდეგ, როცა სურდათ, ისევ დაითხოვდენ. რაც უნდა ძვირი ყოფილიყო ამ მუშების ქირა, ეს მაინც ოჯახს უფრო იაფათ უჯდებოდა, ვინემ მუშის, ვითარცა ოჯახის წევრის, მთელი წლის განმავლობაში რჩენა. ქირაზე სამუშაოთ კი მოდიან ის გლეხები, რომლებიც პროლეტარებათ გახდენ, ან რომლებსაც პატარა ადგილიც აქვთ, მაგრამ ქირაზე გასვლით ცოტა ფულის შეძენასაც ჰფიქრობენ, აგრეთვე გლეხების ვაჟი და ქალიშვილები.

ეს განვითარება, რომელიც ერთი მხრით საქირაო მუშების საჭიროებას ჰქმნის, ჰქმნის მეორე მხრით ასეთ მუშებსაც. ის ჰხდის პროლეტრებათ ზოგიერთ გლეხებს, აპატარავებს გლეხის ოჯახს, როგორც ეს უკვე ვნახეთ, და გლეხთა ზედ-მეტ ვაჟ—და ქალიშვილებს შრომის ბაზარზე ერეკება. და ბოლოს ივივე განვითარება ძალას ატანს წვრილ მესაკუთრე გლეხს, დრო გამოშვებით თავის მამულს მოშორდეს და სხვაგან მუშაობით ფული შეიძინოს. ამისი მიწა-ადგილი ისე პატარაა, რომ აქედან მიღებული მოსავალი მას ძლივსღა ჰყოფნის, მას არავითარი სამეურნეო ნაწარმოები არა აქვს, რომ ბაზარზე გაიტანოს გასაყიდათ. ერთათ ერთი საქონელი, რომლის გაყიდვა მას შეუძლია, საკუთარი სამუშაო ძალა არის, რომელიც მისი მამულის დასამუშავებლათ მხოლოთ დრო გამოშვებით არის საჭირო. და, აი, ამ ძალის გაყიდვის ერთ-ერთი საშუალებათაგანიც მსხვილ სამეურნეო წარმოებაში ქირაზე მუშაობა არის.

ძველი დროის გლეხის ოჯახური კომმუნის ალაგას, რომელიც მხოლოთ საკუთარი ძალ-ღონით საკუთარ მამულს ამუშავებდა, ახლა მსხვილ მესაკუთრე გლეხთა ეკონომია ჩნდება, მრავალი დაქირავებული მუშებით, რომლებიც მემამულის კომანდის ქვეშ ყანას მუშაობენ, შინაურს საქონელს წყესვენ, მოსავალს აგროვებენ.

კლასსიური განხეთქილება მყვლეფველთა და გაყვლეფილთა, ქონების პატრონთა და პროლეტარებს შორის, სოფელშიაც ვრცელდება და მშლის ძველებურ ჰარმონიას ინტერესებისას.

მთელი ეს პროცესი, როგორც უკვე ვთქვით, საშუალო საუკუნოებში დაიწყო, მაგრამ მხოლოთ კაპიტალისტურმა წარმოების წესმა მეტათ დააჩქარა და საზოგადოთ გახადა იგი. ეს პროცესსი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. დღესაც კიდევ ახალ-ახალი

მხარეები, ახალ-ახალი დარგები გლეხური წარმოებისა საკუთარი მოხმარების ხასიათს ჰკარგავენ და საქმის წარმოების ხასიათს ღებულობენ; დღესაც გლეხისთვის ფულის მოთხოვნილება თან-და-თან იზრდება, ოჯახის წევრთა მუშაობა ნაქირავები მუშების შრომით იცვლება. ამგვარათ კაპიტალისტური წარმოების განვითარება ქალაქში ძირიანათ არყევს და ანგრევს გლეხის არსებობის პირობებს სოფელში; ანგრევს — ასე ვთქვათ — შორიდან, ქალაქიდან.

მაგრამ კაპიტალი მარტო მრეწველობით არ კმაყოფილდება. როგორც კი საკმაოთ ძლიერდება, გადადის სოფელში და მეურნეობასაც ეპატრონება.

ფ. ბატრიშვილი.

## მცირეწლოვან დამნაშავეთა თავ შესაფარი ზემო ავჭალაში.

შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ზემო ავჭალაში არსებობს ესრეთ წოდებული „მცირეწლოვან“ დამნაშავეთა თავშესაფარი (კალონია). ნუ თუ სირცხვილი არ არის არ ვიცოდეთ ასეთი დაწესებულების არსებობა, რომელშიაც ჰპოულობენ ხსნას ზნეობით და გონებით დაცემისაგან ღარიბ-ღატაკნი მცირე წლოვანნი? რომელთაც ვინ იცის რა ბოროტებამდის და გარყვნილობამდის მიიყვანდა ლუკმა-პური უქონლობა, რომ ეს თავშესაფარი არ ყოფილიყო მათი მხსნელი და მანუგეშებელი! სირცხვილია არ ვიცოდეთ ასეთი თავ შესაფარის არსებობა, მაგრამ ისიც საოცარია, მცირეწლოვანთ რომ დამნაშავეებს ვუწოდებთ, მაშინ როდესაც დამნაშავენი არიან მათი მშობლები, რომლებმაც ვერ დააყენეს მცირე წლოვანნი ჭეშმარიტ გზაზე, ის წრე, რომელშიაც ისინი აღიზარდენ, ის წესწყობილება, რომელიც ჩვენში არსებობს, ის ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც ხალხი იმყოფება... დიახ, დამნაშავეა საზოგადოება, და მცირეწლოვანნი კი უმართლოთ არიან დამნაშავის სახელით შეურაცხყოფილნი. დამნაშავეა საზოგადოება, რომელსაც ცოტათ თუ ბევრათ კიდეც შეუგნია ეს დანაშაულობა და დაუარსებია მცირეწლოვანთა თავშესაფარი; მხოლოთ ასეთი შეგნებული ადამიანი ცოტა აღმოჩენილა: სულ 400-მდე წევრი ჰყავს იმ „საზოგადოებას“, რომელმაც კავკასიაში უნდა დაარსოს თავშესაფარები. განა დანარჩენთაგან არ არიან ყურადღების ღირსნი ის უპატრონოთ და უსახლკაროთ დაგდებული მცირეწლოვანნი, რომლებიც იძულებულნი არიან ლუკმა პურის მოპოვებისათვის სულით და ხორცით გაირყვნან? მე-90 წლებში შემდგარმა „კავკასიის საზოგადოებამ“, მხოლოთ ერთი თავშესაფარის დაარსება შესძლო 1895 წ. რომელშიაც ამ ჟამათ 44 მოსწავლე ირიცხება. განა ეს ერთი თავშესაფარი საკმაოა მთელი კავკასიისათვის? სრულებითაც არა. მაგრამ სხვა თავშესაფარზე რა უნდა ვთქვა, როდესაც ეს ერთიც არ არის მატარიალურათ უზრუნველ ყოფილი ჩვენი გულგრილობისა და დაუდევრობის გამო. იმედია ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს შემდეგში მაინც ამ დაწესებულებას და არ დაიშურებს თავშესაფარისათვის თავის წვლილს. ეს იმედი მიათკეცდება, რადგან „კავკასიის საზოგადოების“ მმართველობას ისეთი პატივცემული პირები შეადგენენ, რომელნიც სულით და გულით ცდილობენ თავშესაფარი ყოველ მხრივ უზრუნველ ყოფილი იყოს. მათი დაუღალავი შრომა-მეცადინეობა საკმაოთ დაჩნევია თავ-შესაფარს ზემო ავჭალაში, რომელიც გასულ წლებში ოქროყანაში არსებობდა, იჯარით აღებულ მამულში. დღეს თავშესაფარს თავისი საკუთარი მიწა აქვს სივრცით 40 დესიატინამდე, აქვს საკუთარი სახლები, თუმცა ეს სახლები ვერ აკმაყოფილებს თავშესაფარის საჭიროებებს. რაც შეეხება სწავლა-აღზრდის საქმეს თავშესაფარში, თავისი დაუღალავი შრომით და მამობრივი მზრუნველობით შეენიერათ მოუწყვია ბ-ნ კ. შ. ჭყონიას, რომელიც დიდიხანი არ არის, რაც ამ თავშესაფარის მმართველათ დაინიშნა. მის შრომას შესამჩნევი ნაყოფი გამოუღია: მნახველს აღტაცებაში მოიყვანს ბავშების ზდილობა-თავაზიანობა; საკმაოთ კარგი წერა-კითხვა, მშვენიერი გალობა, საკმაოთ კარგათ ცოდნა თავ-თავისი ხელობებისა (აქ ასწავლიან მებაღეობას, დურგლობას, მეწაღეობას, ჭრა-კერვას და სხ.) პატივისცემის ღირსია ყოველი ჭეშმარიტი მასწავლებელი, მაგრამ უმეტესათ პატივსაცემია უკუღმართი ცხოვრების მიზეზით დამნაშავეებათ წოდებულ მცირე წლოვანთა მასწავლებელი და გამწვრთნელი.

— რი.

## საქველ-მოქმედო საქმე

20 ივნისს ქ. ბათომში საკვირაო სკოლის სასარგებლოთ გამართული სახალხო წარმოდგენისაგან შემოვიდა ბილეთების გაყიდვისაგან 135 მან. 63 კაპ. გასავალი იყო: თეატრის ქირა — 25 მან. მარკების ფასი — 17 მანეთ. 16 კაპ., აფიშების ფასი და დარიგება — 5 მან. ბილეთების ფასი — 1 მანეთი, პარიკმახერს — 4 მან., რეკვიზიტი — 3 მან., ორი ტელეგრამმისა 3 მან, 60 კაპ., ეტლის ქირა-3 მან. 50 კაპ., მსახურ[illegible]-2 მან. წვრილმანი ხარჯი 35 კაპ. სულ ხარჯი [illegible]. 64 მ. 64 კაპ. წმინდა დარჩა 70 მან. 99 კაპ. აქედან 30 მანეთი იქნა გადადებული სახალხო წარმოდგენების გასამართავათ, ხოლო დანარჩენი 41 მანეთი გადაეცა საკვირაო სკოლას.

წარმოდგენის გამგე

ანა სოლორაშვილი.

## „კვალის“ ფოსტა.

ბ. ან. ჩ—ძეს: რომ ვარგებულიყო ხომ დავბეჭდავდით. ნუ თუ ესეც ძნელი მისახვედრია?!

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 3 Іюля 1899 г. Тип. Т. М. Ротиніанца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა Гол. пр. д. № 41.